სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება N215

ქ. ბათუმი 09 ივნისი 2017 წ.

ერთი მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი (შემდგომში „დამკვეთი“) წარმოდგენილი დეპარტამენტის თავმჯდომარის სულხან ღლონტის სახით და მეორე მხრივ ამხანაგობა „ლადო შავიშვილის მარანი“ (შემდგომში „შემსრულებელი“), წარმოდგენილი ხელმძღვანელის ვლადიმერ შავიშვილის სახით, („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, CPV კოდი: 92300000) ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

შემსრულებელი იღებს ვალდებულებას აჭარის არ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტუმრებისათვის - ჟურნალისტებისათვის გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან (სულ 4 პიროვნება), 2017 წლის 12 ივნისს უზრუნველყოს ფოლკლორული ღონისძიების (ქართული ხალხური სიმღერა 4 კაციანი ჯგუფით) ორგანიზება სოფელ ვაიოში.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

2.2.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს შემსრულებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შემდეგ, დამკვეთისა და შემსრულებლის მხირდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

4.2. დამკვეთის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი უფლებამოსილი პირია დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და რეკლამის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი გიორგი დოლიძე.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

6. მხარეთა რეკვიზიტები

აჭარის ა/რ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი	**ამხანაგობა „ლადო შავიშვილის მარანი“**
მისამართი: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86	მისამართი:
	საიდენტიფიკაციო კოდი: 245738402
	სს „საქართველოს ბანკი“ *ბანკის კოდი* – BAGAGE22 ანგარიში N GE13BG0000000729895700
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427809	
დეპარტამენტის თავმჯდომარე	**ხელმძღვანელი**
_____ /სულხან ღლონტი/ ბ.ა.	_____ /ვლადიმერ შავიშვილი/ ბ.ა.